№ 2943
კვირა,
6 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2943
კვირა
6 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—20)

სასიკვდილოთ გულ ჩათუთქულნი მშობლები **სვიმონ ანდრიას ძე ფანიაშვილი და მისი მეუღლე ოლა შვილებითურთ და მართა ზურაბის ასული ხატელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოდ დაკარგვას საყვარელის და დაუვიწყარის შვილისას და ძმისას, რომელიც უდანაშაულოთ მოკლულ იქმნა ქ. ფეოდოსიაში უკანასკ. არეულობის დროს

დავით სვიმონის ძ ფანიაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს დილის 10 საათზე ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—2)

სასიკვდილოთ გულ ჩათუთქულნი მშობლები დეკანოზი **ლაზარე ტურიაშვილი და მეუღლე ეკატერინე დიმიტრის ასული შვილებითურთ**: **ალექსანდრა ჩიქოვანისა, კონსტანტინე, თამარი, ნიკოლოზი, მიხეილი, ივანე და ნადეჟდა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოთ გარდაცვალებას 2-ს ნოემბერს საყვარელის და დაუვიწყარის შვილის და ძმის სტუდენტის

ალექსანდრე ტურიაშვილისას,

გამოსვენება მოხდება კვირას, 6 ნოემბერს დილის 9½ საათზედ წმ. მარინის ეზოდან—წმ. მარინისვე ეკლესიაში და იქიდან წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად.
(2—424—2)

მიხეილ იოსების ძე და ნატალია იოსების ასული ბიბილაურები რძლებით სიდონია და ოლგა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ ძმისას და მაზლისას იურევის უნივერსიტეტის სტუდენტის

ალექსანდრე იოსების ძის ბიბილაურისას,

რომელიც ტრაგიკულად მოკლულ იქმნა პეტერბურგში 18 ოქტომბერს, და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 6 ნოემბერს, 9½ საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—426—2)

დღეს, 6 ნოემბერს,

კნ. ბარბარე ნიკოლოზის ასულის ხერხეულიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც გულდამწვარნი მეუღლე და ქალიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1)

ეკატირინე ნიკოლოვისა, ნინო და ვლადიმერ ბახუტოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (4 ნოემბერს) პირველი ძმისა და მეორენი—ბიძისა და სიმამრის

სოსიკო გოგინოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზე სამშაბათს, 8 ნოემბერს, ავლაბარში, სურფმინასის ქუჩაზე, სახლი ქათანიანცისა, დილის 9 საათზე. გასვენება სიონის ტაძარში, იქიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდები კვირას და ორშაბათს საღამოს 5 საათზე.
(2—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ **თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრებაზე**, რომელიც მოხდება 19 ამა ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, სათავ.-აზნაურო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე.
(3—1)

„ალაზანი“
კახეთიის მევენახეთა ამხანაგობამ

დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792
(10 - 6)

იაფ-ფასიანი ქართული წარმოდგენა ავლაბრის თეატრში

კვირას, 6 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი ობოლი

დრამა 5 მოქმ. დრიერი თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ნებიერიძე, ს. თერგელი. ბ-ნნი: შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, დ. ჩარკვიანი. ვ. ურუშაძე, ჯაველი, გუმლიძე, ციციანოვი, სტეფანოვი.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზედ.

ადგილების ფასი 40 კაპ.-დან 1 მ. 20 კაპ.-მდე.

კვირას, 6 ნოემბერს, დილის ათ საათზე ნაძალადევში მოხდება

სახალხო მიტინგი

შესახებ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა. **ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.**

ქალაქიდან წასვლის გამო

ისყიდება საკანდიტერო და სახაბაზო

ძლიერ მოხერხებულ ადგილას ავჭალის ქუჩაზე, № 72
(1—1)

სამშაბათს, 8 ნოემბერს, ნაძალადევში დანიშნულია კრება

შინა მოსამსახურეებისა,

როგორც მზარეულებისა, აგრეთვე ხელზე მოსამსახურეებისა. კრება იქნება ნაშუადღევის სამ საათიდან.
(3—2)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ.
(თვ.—6)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ე. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

ვ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს.
(150—21)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18.
(წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს ₮—6 საათამდე.
(თვ.—80—28)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—12)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711.
(50—368—21)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154.
(თვ.—371—22)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—6)

ტფილისი, 5 ნოემბერი.

ერების თანასწორობა.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში საფრანგეთის ხალხმა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის იმ დროშის ქვეშ მოიკრიფა ძალა, რომელზედაც „თავისუფლება და თანასწორობა“ იყო დაწერილი. ეს ორი სიტყვა მას შემდეგ თითქოს რევოლიუციის სამარადისო ლოზუნგად გადაიქცა და ისეთს ძლიერს სულს ჰბერავდა მშრომელ ხალხს, რომ იმის წინაშე მონობის სხვა და სხვა ფორმა ერთი მეორეზე იმსხვრეოდა, ერთი მეორეზე გადადიოდა აწმყოდან წარსულში. ეხლანდელი რუსეთის მოძრაობაც თავისუფლების და თანასწორობის დროშის ქვეშ მიმდინარეობს, რევოლიუციის ლოზუნგი იგივეა, რაც მეთვრამეტე საუკუნეში იყო, მაგრამ იმისი შინაარსი ეხლა მრავალ მხრივ განსხვავდება ძველის შინაარსისაგან.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ თავისუფლების და თანასწორობის განსახორციელებლად შეიმუშავა ფორმალური პრინციპი ადამიანთა თანასწორობისა ეკონომიის წინაშე და კანონმდებლობაში. რუსეთის მებრძოლ წრეების საერთო პოლიტიკური იდეალი დღეს სწორედ ამ შინაარსისაა, მაგრამ იგი უძლურია რეალური დემოკრატიული თანასწორობა შეიტანოს ეხლანდელს კერძო საკუთრებაზე დამყარებულს ცხოვრებაში. უზარმაზარ რუსეთში მარტო რუსები არა სცხოვრობენ, ას ოცდახუთმეტ მილიონ მცხოვრებთაგან ნახევარზე მეტი ეგრედ წოდებული „ინოროდცები“ არიან, სხვა და სხვა ეროვნებას ეკუთვნიან, თავისი განსხვავებული ისტორიული წარსული აქვთ, თავის საკუთარს ენაზე ლაპარაკობენ და განსაკუთრებითის ზნეჩვეულების ატმოსფერაში ჰსუნთქავენ.

თანასწორობა კანონის წინაშე და კანონმდებლობაში ამ „ინოროდცებისთვის“ საკმაოდ ვერ უზრუნველ ჰყოფს რეალურს თანასწორობას: ისტორიისაგან შექმნილს ეროვნებათა სხვადასხვაობას, რომელიც კანონმდებლობის სფერის გარეშე იმყოფება და კანონთა მიუხედავათ არსებობს, ამ სხვადასხვაობას ფორმალური პრინციპი თანასწორობისა ვერ გააუქმებს და ვერც თვით ეს პრინციპი განხორციელდება, თუ-კი იგი მხოლოდ ადამიანთა თანასწორობად დარჩა და ერების თანასწორობად არ გადაიქცა.

მრავალ-ტომიან რუსეთის სარევოლიუციო მოძრაობას არ შეუძლიან ამ გარემოებას უჩუმრა აუაროს გვერდზე: ერების გათანასწორება ეხლანდელ ისტორიულ მომენტის აუცილებელი მოთხოვნაა და იმას ეხლავე ანგარიში უნდა გაეწიოს, თორემ ისტორიულმა შეცდომამ სასტიკი შურისძიება იცის, განსაკუთრებით-კი რევოლიუციონურ ხანაში.

დასავლეთ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შეუჩერებლივ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს მტკივნეული პროცესსი ერების გათანასწორებისა, რომელმაც იქ ეროვნულ სახელმწიფოთა დაარსებისადმი მისწრაფების სახე მიიღო. იმ ქვეყნებმა, სადაც ხალხმა ადრე დაახწია თავი ეროვნულ უთანასწორობას, ერთი საუკუნის განმავლობაში ისეთი დიდი კულტურული ნაბიჯი გადადგეს წინ, როგორიც წინად წარმოსადგენადაც-კი ძნელი იყო. პირიქით, ის ქვეყნები, რომელნიც დღევანდლამდე ეროვნულ უთანასწორობაში სცხოვრობენ, როგორც ავსტრო-უნგრეთი, კულტურულად უკან ჩამოჰრჩნენ თავის მეზობლებს და მუდმივს მოლოდინში იმყოფებიან, რომ დაჰბერავს ისტორიის ქარიშხალი და სრულიად აღგვის მათ დედამიწის პირიდან.

ყოველმხრივ ჩამორჩენილს რუსეთს განვლილს საუკუნეში არა თუ არაფერი არ გაუკეთებია ერების გასათანასწორებლად, პირიქით, იგი სისტემატიურად სცდილობდა დაეკანონებინა ეს უთანასწორობა და ერთი ერის მეორეზე გაბატონება იმისი უაღრესი მიზანი იყო. ვიდრე რუსეთს აბსოლიუტისმის მაჯლაჯუნა უხუთავდა სულს, ვიდრე ადამიანს არავითარი პოლიტიკური პიროვნება არა ჰქონდა, მთელი ენერგია პრაქტიკულად თვითმპყრობელობასთან ბრძოლას ჰხმარდებოდა, მაგრამ ეხლა მდგომარეობა იცვლება და რუსეთს იმგვარივე ეროვნული ბრძოლა და განხეთქილება მოელის, როგორიც ამ ჟამად ავსტრიაში სწარმოებს.

ამ გვარად, ისტორიული საჭიროება მოითხოვს, რომ რუსეთმა ეხლავე განახორციელოს პრინციპი ერების ნამდვილ თანასწორობისა და თავიდანვე მოსპოს ნიადაგი ეროვნულ მტრობისა და ქიშპობისა. მისწრაფება საკუთარ სახელმწიფოს დაარსებისადმი ჩვენ იმ საშინელებად გვეჩვენება, რომელსაც განუზომელი და უაზრო უბედურება შეუძლიან დაატრიალოს მთელს რუსეთში, ამ მისწრაფებას საშუალო საუკუნოების ცხოვრებაში აქვს ფესვები და მშრომელ ხალხის ეხლანდელ ინტერესებს არაფერში არ შეესაბამება. სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ მთელის ჩვენის არსებით სეპარატიზმის წინააღმდეგნი, მაგრამ, გვახსოვს რა აუცილებელი საჭიროება ერების გათანასწორებისა, ჩვენ ბეჯითად ვიცავთ ადგილობრივ ეროვნულ თვითმმართველობის საჭიროებას რუსეთის იმპერიის მთელს სივრცეზე.

რუსეთის ეხლანდელმა მოძრაობამ პიროვნების სამოქალაქო თავისუფლებასა და ადამიანთა თანასწორობასთან ერთად უნდა შეიმუშავოს შეურყეველნი საფუძველნი ერების თავისუფლებისა და თანასწორობისა. ვიდრე პრინციპი ერების თავისუფლებისა და თანასწორობისა რუსეთში რეალურად განხორციელებულ არ იქნება, ჩვენ იმედი არა გვაქვს ეს თვალგადუწვდენელი ქვეყანა ნაყოფიერ კულტურულ განვითარების ფართო და თავისუფალ გზაზე გამოვიდეს.

ბნელი ძალა.

მომავალი ისტორიკოსი რუსეთის რევოლიუციისა გულ-ამღვრეულის რისხვით მოიხსენიებს იმ ბნელ ძალებს, რომელნიც წინ ეღობებოდნენ რუსეთის განთავისუფლებას. მომავალი თაობა დაჰგმობს იმათ, ვინც ყოველ ღონეს ხმარობდა გაემრავლებინა მსხვერპლი, მორევად გადაექცია თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლის ნაკადული. წყევა-კრულვით მოიხსენიებს ისტორია ბნელ ძალებს, მაგრამ განცვიფრებული შესდგება, როდესაც გაყვითლებულ გაზეთის ფურცლებიდან ამოიკითხავს, რომ ერთი ამ ბნელ ძალთაგანი იყო რუსეთის ეკლესია, რუსეთის სამღვდელოება, აღმსარებელი და კეთილ მსახური ქრისტეს მცნებისა. ისტორიკოსი არ დაიჯერებს, რომ ქრისტეს მსახურნი, რომელთაც მხოლოდ სიყვარული უნდა ეთესნათ, სისხლის მსმელ ჯალათებს ეჯიბრებოდნენ და იწვევდნენ ხალხს ხოცვა-ჟლეტისათვის, ერთ ერს მეორეს უსევდნენ და აკლებინებდნენ, და ყველა ამას სჩადიოდნენ ქრისტეს სახელით.

ისტორიკოსი გაკვირვებული გაიგებს, რომ სისხლის მწყურვალენი იყვნენ არა უბრალო, გაუნათლებელნი მღვდელნი, არამედ თვით მღვდელ-მთავარნი, რომელთაც ქრისტემ სამწყსო ჩააბარა სიყვარულის მცნების განსამტკიცებლად. გაჰკვირდება ისტორიკოსი, მაგრამ შავი ასოები ნათლად, ხმამაღლა იღაღადებენ სინამდვილეს, და პირუთვნელი აღმადგენელი წარსულ ცხოვრებისა იძულებული იქნება წყევა-კრულვით მოიხსენიოს იგი, ვინც მაცხოვრის სიყვარულით აღსავსე სწავლა დაივიწყა და ბოროტების იარაღად გადაიქცა.

პირუთვნელ ისტორიის მკაცრი მსჯავრი შორს არის. რუსეთის რევოლიუციის ისტორია ჯერ არ დამდგარა; ჯერ არ გადასულა წარსულის სამეფოში საზიზღარი მოქმედება მართლმადიდებელ მწყემსთა და ცოცხალთა მოვალეობაა სამარცხვინო ბოძზედ გავაკრათ ულირსნი მემკვიდრენი ქრისტეს ადგილისა დედა-მიწაზედ. მოსკოვის მიტროპოლიტის, საქართველოს ექსახოსად ყოფილის ვლადიმირის ლოცვა-კურთხევით მოსკოვის ეკლესიებში ქადაგებდნენ ამხედრებას ინტელიგენციის წინააღმდეგ, იწვევდნენ ქრისტეს მმოსავ მრევლს შეერთებულის ძალით დაეკრათ და წარეხოცათ მტერი „სარწმუნოებისა და სამშობლოსი“.

მოსკოვის მიტროპოლიტს არ ჩამორჩა კიევის მიტროპოლიტიც, აგრეთვე საქართველოში ექსარხოსად ნამყოფი, ფლაბიანე. აი. რასა სწერს ამ მღვდელმთავრის შესახებ გაზეთი „კიევსკიე ოტკლიკი“: დღეს (27 ოქტომბერს) იგზავნება სხვა და სხვა სჯულის წარმომადგენელთა დეპუტაცია, რამდენისამე ინტელეგენტისაგან შემდგარი, უსამღვდელოეს მიტროპოლიტ ფლაბიანესთან თხოვნით, რათა მათმა მეუფებამ მიიღოს ზომები და უარჰყოს ქალაქში გავრცელებული ხმები, ვითომ მიტროპოლიტმა, როდესაც ეტლით მიბრძანდებოდა 19 ოქტომბერს, აკურთხა ბრბო, რომელიც მაღაზიებს ამტვრევდა.“ „Нѣтъ дыму безъ огня“, მართლად ამბობს რუსული ანდაზა. შეუძლებელია, რომ ამ მიტროპოლიტსაც წილი არ ედოს დანაშაულობაში.

იმავე გაზეთის ცნობით ქალაქში კიევო-პეჩერის ლავრის სახელით, ავრცელებენ მო-

წოდებას რომელიც იწვევს მართლმადიდებელთ ამოჟლიტონ პოლონელები და ებრაელები. მეორე მოწოდება, რომელიც იწყება სიტყვებით: „სახელითა მამისათა“ იწვევს ბრბოს პოლონელების და ინტელლიგენტების ამოსაჟლეტად.

ასეთივე მოწოდებანი ვრცელდება ოდესასა, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. სამღვდელოების გალაშქრებამ ისეთი ძლიერი ხასიათი მიიღო, რომ შეაძრწუნა პატარა ჯგუფი ქრისტეს ჭეშმარიტ მწყემსთა და აიძულა ხმა ამოეღოთ მტრობის და ძალადობის მქადაგებელთა წინაამდეგ. მაგრამ განა ეს ხმა, სუსტი და უძლური, შეაყენებს ამხედრებულ სამღვდელოებას? განა ცხადი არ არის, რომ სიტყვები, თვით მაცხოვრის მიერ თქმულნი, ვერ იმოქმედებენ მათზედ, ვისაც ქრისტე მხოლოდ ტანთ აცვიათ, გულში-კი ეშმაკის სამეფო აქვთ? განა ცხადი არ არის, რომ სამღვდელოება ერთი იმ ბნელ ძალთაგანია, და მერე ძლიერიც, რომელიც აღზარდა რუსეთის საშინელმა რეჟიმმა და დღეს ბრძოლის ველზედ გამოიყვანა თავის არსებობის დასაცველად? განა ცხადი არ არის, რომ კრიტიკულ მომენტის დროს სასულიერო წოდებამ პირბადე აიხადა და საჯაროდ დაუმეგობრდა იმათ, ვისი მეგობარიც ყოველთვის იყო ფარულად?

მართლ-მადიდებლობა და თვითმპყრობელობა განუყრელი ცნებანი იყვნენ და დღეს ერთი ერთმანეთს შველიან. ოფიციალური მართლ-მადიდებლობა ყურ მოჭრილი ყმა იყო თვითმპყრობელობისა და დღეს მხოლოდ განაძლიერა, გააორკეცა სამსახური ბატონისთვის.

იყო დრო რუსეთში, როდესაც სასულიერო წოდება ხალხის შვილად, ხალხისთვის მწუხარედ სთვლიდა თავის თავს და შეუდრეკელად, ხმამაღლა ჰგმობდა აღვირ აშვებულ თვითმპყრობელობის საქციელს. მაშინ არ აშინებდა არც წამება, არც დაპატიმრება. სასულიერო წოდებისთვის მაშინ მხოლოდ ცა იყო მბრძანებელი, მხოლოდ მაცხოვარი იყო ხელმძღვანელი.

წავიდა ის დრო. მართლმადიდებელ სამღვდელოებას გაუტკბა მიწიერი ცხოვრება და, რადგან იგი იყო ხელთა თვითმპყრობელობისათა, მიეკედლა მას და გახდა მისთვის გუნდრუკის მკმეველი. მან გამოიგონა, რომ არ არის მთავრობა, თუ არ უფლისაგან, და ასწავლიდა სამწყსოს მორჩილებას, მოთმინებას, თავის უბედურ ბედის კმაყოფილებას. და აი ეხლაც, როდესაც სამწყსომ თვალი აახილა, შეიგნო სულიერ მამების ფარისევლური მოქმედებანი, მართმადიდებელ სამღვდელოებას იმის მეტი ვერა უთქვამს-რა, რომ ხალხს ჰხამს დაწყნარება, რადგან მასზედ მზრუნველმა მთავრობამ უკვე იცის, რაცა სჭირია ხალხსაო. აი, რას უქადაგებს ხალხს სინოდი: „ასე არს ოჯახში: ვიდრე ყრმა პატარაა და უგონო, მამა ასწავებს მას და სჯის; როდესაც ასაკსა და ჭკუასა შინა შევა, მამა ჩამოაცლის სიყრმის მონობის ბორკილებს, რათა არ შეიხუთოს ძალა ვაჟ-კაცობისა არტახებისაგან და რათა გაკაჟებულნი ნიჭნი მისნი ფართოდ გადაიშალნენ, უბოძებს თავისუფლებას და მაშინ ყრმა უერთდება თვისთა ვაჟკაცთა ძმათა“.

შორს, ფარისეველნო! თქვენ საერთო არა გაქვთ-რა ხალხთან, თქვენ მაცდურივით ატყუებთ ხალხს, როცა არწმუნებთ, რომ მისი კეთილის მოსურნენი ხართ. განთავისუფლებული ხალხი ზურგს შეგაქცევთ, როგორც თავის მოსისხლე მტერს, და ცამდის მართალიც იქნება!.. **ჩ.**

კიდევ ახალი კავშირი. რევოლიუციონური მოძრაობა ჩვეულებრივ ცხოვრების მიმდინარეობისაგან იმით განირჩევა, რომ ცხოვრების მაჯის ცემა ხშირდება. ნერვების და ტვინის მუშაობა ინტენსიური ხდება და საზოგადოებრივი განვითარება ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ ჩვეულებრივ დროს ვერც-კი წარმოიდგენს კაცი. ამას ვხედავთ დღეს რუსეთში. ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოდის ცენტრიდან. ბიუროკრატია სცდილობს უკან მიჰყვეს ამ ცხოვრებას, ყოველ მოვლენას დაასვას თავისი ბეჭედი, მაგრამ ვერ ასწრობს და გზა დაბნეული, გააფთრებულ ნადირივით, ხან აქეთ ეცემა და ხან იქით.

ამ ბოლო დროს სხვა და სხვა კავშირის დაარსებამ ხომ სრულიად დაუბნია დავთრები. უფრო საგრძნობელი-კი ბიუროკრატიისთვის სახელმწიფო მოხელეთა კავშირის დაარსება უნდა იყოს. ეს კავშირი დაარსდა პეტერბურგსა და მოსკოვში სულ ბოლო დროს. ამათ პეტერბურგში 26 ოქტომბერს კრება ჰქონდათ, რომელზედაც დაადგინეს შეუერთდნენ და მხარი მისცენ საზოგადო განმათავისუფლებელ მოძრაობას. კავშირში, რა თქმა უნდა, არ შევლენ მსხვილი მოხელენი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვთ ამათ, თუ წვრილი მოხელენი მათი წინაამდეგნი იქნებიან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან წვრილ მოხელეთა მდგომარეობა არაფრით არ განირჩევა პროლეტარიატის მდგომარეობისაგან: იგივ სიღარიბე, იგივ პიროვნების შელახვა, იგივ მოთმინება და მოთმინება დაუსრულებელი. ამიტომაც, თუმცა საზოგადო მოძრაობის სათავეში ყოველთვის პროლეტარიატი და მშრომელი ხალხი სდგას, მაგრამ გასაკვირველი არ არის, თუ ამისთანა დროში ამ ავანგარდს სახელმწიფო მოხელეთა მშრომელი ნაწილიც უერთდება. ეს არის უკანასკნელი კუთხე თვითმპყრობელობის ბუნაგისა. რაკი ამ კუთხიდანაც გაიდევნება, მაშინ ალაგს ვეღარსად იპოვის და იძულებული იქნება დამორჩილდეს განმათავისუფლებელ მოძრაობას. აი, ამიტომ ამისთანა წუთში მოხელეთა კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ ეს კავშირი არ დაკმაყოფილებულა 17 ოქტომბრის მანიფესტით და თხოულობს საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრას. რაც შეეხება მოქალაქობრივ უფლებას, ამისთვისაც მარტო მანიფესტის დაპირებას საკმარისად არა სთვლის და თხოულობს პრაქტიკულ განხორციელებას, მეტადრე მოხელეთა ურთიერთობის სფერაში.

ეს ყველა კარგია, მაგრამ მაინც საკმაო არ არის. საჭიროა მოხელეებმა გამოარკვიონ, რაში უნდა მდგომარეობდეს პრაქტიკული განხორციელება მანიფესტის დაპირებისა, საჭიროა, მაგალითად, მოითხოვონ ბიუროკრატიის სრული ალაგმა, რაც წვრილ მოხელეთათვისაც სასარგებლოა, და გამოარკვიონ, როგორ უნდა განხორციელდეს ეს ალაგმა. აგრეთვე უნდა გამოაცხადონ, რა არის მათი საბრძოლველი იარაღი, რომ წინადვე იცოდეს კაცმა, რამდენად შესაძლებელია სხვა კავშირებსა და დასებთან შეერთება, რათა ერთად დაატყდნენ ჯერ კიდევ ცოცხალს, თუმცა დაკოდილს, ძველ და ბნელ რეჟიმს.

ეჭვი არ არის, სატახტო ქალაქებს არც პროვინციის ქალაქები ჩამორჩებიან. თვითცნობიერება მოხელეთა შორის აქაც საკმაოდ გაიზარდა და კიდეც შეუდგნენ კავშირების დაარსებას. სხვათა შორის, ტფილისის მოხელეებმაც განიზრახეს ასეთ კავშირის შექმნა. დღეს მამადავითის მთაზე მოხელეებს მეორე მიტინგი აქვთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოხელენი, განსაკუთრებით ყველასაგან დაჩაგრული და აბუჩად აგდებული წვრილი მოხელენი, შესძლებენ თავიანთ წვლილის შეტანას საზოგადო მოძრაობაში და ამას გარდა შესძლებენ თავიანთ უფლების, კაცურ-კაცობის, და გაქელილ ადამიანობის აღდგენას.

ბიუროკრატიის მსხვერპლნი. თუმცა კავკასიაში საზოგადოებამ გაიმარჯვა და თითქმის ყველგან საომარ წესები გააუქმებინა, მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ კიდევ სრული არ არის. ნუ დაივიწყებთ, რომ იმ დროს, როდესაც გორის მაზრაში საომარ დროის წესები იყო, მრავალი ხალხი დაატუსაღეს და ადმინისტრატიულის წესით, ე. ი. საქმის გაურჩეველად, სრულიად მოულოდნელად დაქსაქსეს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში. ამ ბიუროკრატიის ლუკმებს ამნისტიამაც არ უშველა და, როგორც ვხედავთ, ისინი დღემდის არ არიან განთავისუფლებულნი. ესეც არა კმარა. ამ ჟამად ეს „ტუსაღები“ როსტოვში არიან, სადაც მათ რკინის გზის გაფიცვამ მოუსწრო. თუ რა მდგომარეობაში არიან ეს საცოდავნი როსტოვის საპყრობილეში, სჩანს იმ წერილიდან, რომელიც რედაქციამ დონის როსტოვიდან მიიღო.

„ამგვარი წესი გადასახლებისა,—ამბობს წერილის ავტორი—სისხლის სამართლის ახალ დებულებაში გაუქმებულია. ესენი ყველანი მოულოდნელად არიან გამოგზავნილნი და ამიტომ არა აქვთ არც ფული, არც ტანისამოსი. ასე გასინჯეთ ფეხ-შიშველნიც კი არიან... უმრავლესობა გლეხები არიან, ტუსაღურ ცხოვრებას უჩვევნი, ხანში შესულნი და მოხუცნი... საპყრობილეში ესენი, როგორც ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილნი, საძაგელ მდგომარეობაში არიან: არა აქვთ არც ტანისამოსი, არც ცოტად მაინც ნოყიერი საჭმელი. გადასახლებულთაგან ნახევარი ავად არის“.

ამნისტიის ძალით ესენი სხვებზე უწინ უნდა განთავისუფლებულიყვნენ, როგორც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი, მაგრამ ამათზე არავინ არა ფიქრობს. როსტოვის ადმინისტრაცია, ალბად, თავის თავს მოვალედ არა სთვლის იფიქროს კავკასიელ ტუსაღებისთვის. კავკასიის ადმინისტრაცია-კი ან სარგებლობს ამნისტიის იმ მუხლით, რომელიც ნებას აძლევს კავკასიაში ამნისტია თავის შეხედულების მიერ შეასრულოს, ან სულ დაივიწყებია მას ეს 50 ტანჯული. როსტოვის საზოგადოებას, როგორც წერილის ავტორი გადმოგვცემს, ჯერ არაფერი უფიქრნია იმათ სასარგებლოდ, მხოლოდ კავშირთა კრების ადგილობრივ საზოგადოებას დაუდგენია მოითხოვოს, რომ ეს ტუსაღები როსტოვში დასტოვონ და აღარსად გაგზავნონ ჯერ-ჯერობით, მიმართოს კავკასიის ნამესტნიკს და ტფილისის საბჭოს და მოსთხოვონ ტუსაღთა განთავისუფლება; ამას გარდა მოიწვიოს საზოგადოება ქართველ ტყვეების ნივთიერ დახმარებისათვის. თუ როსტოვის საზოგადოება ესარჩლება ჩვენ თანამემამულეებს, ჩვენ, კავკასიელთ, ხალხოსნობის განურჩევლად, უფრო ვალად გვაძევს ეს. ამიტომ მოვუწოდებთ საზოგადოებას, ვინც კი აფასებს განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის დახარჯულ ძალას, ვისთვისაც-კი ძვირფასნი არიან მათი განმათავისუფლებელნი, დავეხმაროთ ტანჯულთ შემოწირულებით და მოვთხოვოთ ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციას, რომ უეჭველად და დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს მოძმენი. დროა იმათაც იხილონ ნაყოფი თავიანთ მოღვაწეობისა და დასტკბნენ მათი, იხილონ ამომავალი მზე და გასთბნენ მისის სხივებით.

პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთში

(პოლიტიკური ქრონიკა).

წერილი მესამე *).

1848 წლის რევოლუციამ ევროპაში და აგრეთვე ყირიმის ომმა მეტად დიდი გავლენა იქონია რუსეთის სარევოლუციო მოძრაობაზე. 1856 წლიდან, ალექსანდრე მეორის ტახტზე ასვლისათანავე, როგორც ლეგალური, ისე არა ლეგალური ლიტერატურა ერთბაშად შეუდგა საზოგადოებაში პოლიტიკურ და სოციალისტურ აზრების გავრცელებას. ეს ის ხანა იყო, როდესაც რუსეთის ინტელიგენციამ მედგრად და შეუდრეკელად მოჰკიდა ხელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, როდესაც იგი ჰქადაგობდა ახალ მოძღვრებას ყველგან, სადაც-კი მოხერხდებოდა.

ამ დროს რუსეთში ახლად დაარსდა მთავრობის თანახმობით, სახალხო სამკითხველოები და საკვირაო სკოლები, როგორც ბუზი თაფლს, ისე მოედვნენ რევოლუციონური ძალები სახალხო სამკითხველოებს და საკვირაო სკოლებს და [illegible] ავრცელებდნენ იქ პოლიტიკურს და სოციალისტურ აზრებს.

მალე მოძრაობამ იმდენად იჩინა თავი, რომ ალექსანდრე მეორე შეშინდა და სასტიკი ბრძანება გასცა, რომ მთელ სახელმწიფოში დაეხურათ და მოესპოთ სახალხო სამკითხველოები და საკვირაო სახალხო სკოლები. მაგრამ თვითმპყრობელობა შესცდა, სარევოლუციო ძალამ ერთი ათად იმატა და გაცხარდა ბრძოლა წმინდა აზრსა და ბნელ ძალებს შორის. არა თუ არა-ლეგალურ, ლეგალურ მოქმედებისთვისაც-კი დაუწყეს დევნა ყოველ პატიოსანს და ხალხისთვის გულ შემატკივარ მუშაკს. საკმაო იყო წამოგძახა სიტყვა „ხალხი“, რომ მაშინვე საპყრობილეში ამოგაყოფინებდნენ თავს. ალექსანდრე მეორის მეფობის პირველ ხანებში რეაქციონურ მოქმედების სისასტიკემ თითქმის ყველა სფერაში იჩინა თავი. დაიწყო სასტიკი დევნა არა მარტო ინტელიგენციისა და ახალთაობისა, არამედ მათის მასწავლებლებისაც.

14 დეკემბერს 1861 წ. დილის 8 საათზე, სიტნინის მოედანზე, პეტერბურგში, რუსეთის საყვარელ მწერალს მ. მიხაილოვს გამოუცხადეს ექვსის წლით კატორღამა გაგზავნა, იმავე სიტნინის მოედანზე გამოუცხადეს „რუსეთის სოციალიზმის მამას“ და რუსეთის პროგრესიულ ინტელიგენციის „მამათ-მთავარს“ ნ. ჩერნიშევსკის 7 წლით კატორღაში გაგზავნა. ჩერნიშევსკის დაჭერამ და კატორღაში გაგზავნამ რუსეთის მწერლობა და ინტელიგენცია საშინლად გაამწვავა. მთავრობის ამ უკანასკნელმა საზიზღარმა მოქმედებამ სარევოლუციო ძალა არა თუ დაქსაქსა, უფრო შეაერთა და შეაკავშირა. დაიწყო ერთი-ორად უფრო სასტიკი ბრძოლა,

5 აპრილს 1866 წ. დაჰქუხა ეგრედ წოდებულმა „კარაკოზოვის სროლამ“. ალექსანდრე მეორემ საქმის სასტიკად გამოსაძიებლად დანიშნა კომისია განთქმულ ბარბაროსის გრაფ. ნ. მურავიოვის თავმჯდომარეობით. ეს ის საზიზღარი და ბარბაროსული დრო იყო, როდესაც ეგრედ წოდებულ „მძიმე პოლიტიკურ დამნაშავეთ“ საპყრობილეებში აწამებდნენ. ამის გამო ზოგიერთ რევოლუციონერებს ყოველთვის მზად ჰქონდათ რაიმე საწამლავი, რომ დროზე თავი ეხსნათ წამებისაგან.

რა ჰბრალდებოდათ თვით კარაკოზოვს და ეგრედ წოდებულ „კარაკოზოველებს“? აი, რა: მოსკოვში 1861 წლიდან შეერთდა რამდენიმე საიდუმლო წრე და შეადგინა ერთი დიდი წრე, რომელსაც 1865 წ. სახელად „ორგანიზაცია“ უწოდეს. მთავარი გამგე ამ წრისა იყო კარაკოზოვის ბიძაშვილი, ცნობილი წევრი ცნობილ საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც სახელად „მიწა და თავისუფლება“ ერქვა. „ორგანიზაციას“ აზრად ჰქონდა ხალხსა, საზოგადოებასა და მოზარდ თაობაში სოცია-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2941.

ფელეტონი

პატარა ამბები

სალამი თავისუფლებას!—რეჟიმის სიკვდილი. —რევოლიუცია იწყება—როდის დაწყნარდება ხალხი.

დიდი ამბავი მოხდა... მე მაინც პატარა ამბებს ვახსენებ.

დარჩეს ძველი სახელი, როგორც მოგონება იმ შავ, უბედურის დღის შესახებ, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით. დარჩეს პატარა ამბები, რადგან ისინი ამზადებენ მხოლოდ დიდს ამბავს. კვლავაც ვილაპარაკებ პატარა ამბების შესახებ, რადგან მათის შემწეობით შეიძლება მხოლოდ მოხდეს დიდი ამბავი. რაც მოხდა, იმით ჯერ ძლიერ ცოტა განხორციელდა. საჭიროა არა ერთი და ორი დიდი ამბავი იმის შესასრულებლად, რაც ხალხს სწადია და რაც მოუპოვებს მას კეთილდღეობას; საჭიროა ბევრი პატარა ამბავი, რომელთაც ძირი უნდა გამოუთხარონ ყოველთვის დაძველებულ, დახავსებულ ცხოვრებას და გზა გაუკაფონ, გაუკვლიონ კაცობრიობას სულ ახალ და ახალ მომავლისაკენ.

ცხოვრება არასოდეს არ შეჩერდება ერთს ადგილას: დაძველდება და განახლდება, მუდამ იქნება ბრძოლა, მუდამ იქნება წინსვლა. ბრძოლას იწყებენ პატარა ამბები და ათავებს დიდი ამბავი. ამიტომ მეც დავტოვებ „პატარა ამბების“ სახელს. განახლებულ ცხოვრების დროსაც იქნება პატარა ამბები და მათი აღნიშვნა და გარკვევა უფრო საყურადღებოა. დიდი ამბის დანახვა და გაგება ადვილია, მას ყველა იხილავს, იგი ძლიერ ბრწყინავს, მაგრამ ძნელი დასანახია პატარა ამბავი, ეს ცხოვრების შავი მუშა, რომელიც განუწყვეტლივ, დაუღალავად, ხშირად შეუმჩნევლად მუშაობს, მუშაობს ქვესკნელში, ბნელში, სიცივეში, არღვევს კედელს კედელზე, რომ მეტი სინათლე და სითბო მოუპოვოს ადამიანებს. მის მუშაობას არავინ ხედავს, დაინახავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაობა დამთავრდება, მოხდება დიდი ამბავი და ნათლად გამოჩნდება ყველაფერი, რაც იყო, რაც არის, რაც იქნება...

დარჩეს ჩემი „პატარა ამბები“.

ამ ორი კვირის წინ (ჩემი სხვაგან ყოფნის დროს) მოხდა დიდი, შესამჩნევი ამბავი: თვითმპყრობელობამ გამოაცხადა თავისი თავი გაკოტრებულად. რასაკვირველია, გადაჭრით და გარკვევით არ გამოუთქვამს ეს, მაგრამ განა თვითმპყრობელობას მოეთხოვება იმდენი პირდაპირობა და გამბედაობა, რომ სავსებით აღიაროს ყოველი თავისი უბედურება? არა, მან თავის ჩვეულებრივ მიხვეულ-მოხვეულობას მიჰყო ხელი და ვითომც რაღაც წყალობა და გულკეთილობა გამოგვიცხადა: უზომოდ გულკეთილი ვარ და ყოველივე სიკეთე მწყურია „საყვარელ“ ქვეშევრდომებისათვისო (იგულისხმიერე: მონებისათვის)!.

მაგრამ რაც უნდა, სთქვას: მისი თქმით არც რა კეთდების, არც რა ხდების. თვითმპყრობელობას თავისი არა უთქვამს რა, და რომ ეთქვა, კარგად ვიცით, რასაც იტყოდა: არრას იტყოდა ხალხის კეთილდღეობის და თავისუფლების შესახებ! თვითმპყრობელობამ დასწერა ის, რაც ძლიერმა მუშა ხალხმა უბრძანა მას. და თუ არ დასწერა მთლად ის, რაც დასაწერი იყო, ამის პასუხს გასცემს თავის დროზე მბრძანებელს ხალხს. თვითმყრობელობას არაფერი არ მიუცია და იგი არც არის ჩვეული, რომ რამე გასცეს: მას ყოველთვის ის უნდა მხოლოდ, რომ ყველაფერი შთანთქას, გასრისოს, შეიწიროს და იმსხვერპლოს: თვითმყრობელობას არაფერი არ მოუცია, და თუ რომელსამე მახინჯს, მონურს ადამიანს მადლობის გამოცხადება სწყურია, მივიდეს და მადლობა უთხრას მუშა ხალხს, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება, რომელიც დაამყარებს თავისუფლებას, რაც ძალი უნდა გადაელობოს წინ..

თვითმყრობელობამ გამოაცხადა თავისი გაკოტრება.

რამდენს მწარე ოფლს დაღვრიდა, ბიუროკრატია, რამდენჯერ მოიგრიხებოდა გამწარებული, რამდენჯერ აკანკალდებოდა გაბრაზებული და რამდენჯერ მოინდომებდა ხალხის ერთიან განადგურებას, მოინდომებდა, სცემდა ხალხს, თვალები დაეთხარა, ამოეგლიჯა ენა, ლუკმა-ლუკმა დაეკუწა მისი გული, გამძღარიყო ხალხის სისხლით. მაგრამ მის წინაშე სდგას შეურყეველად ძლიერი ხალხი, რომელსაც თავი გაუწირავს თავისუფლებისათვის, ეწყობა რაზმ-რაზმად და ემზადება ბრძოლისათვის. შეშინებული ბიუროკრატია ვერაფერს ჰბედავს, ცდილობს სიბრაზე ღიმილად შესცვალოს, სიძულვილის მაგიერ ვითომც სიყვარული გამოაჩინოს და გულკეთილობა დაუმტკიცოს ხალხს. „ჰო, საყვარელო ხალხო, ეუბნება მას იუდას ენით: შენმა დარდმა წაართვა ძილი თვალთა ჩემთა და გულსა ჩემსა მოსვენებაო“. და ვითომ ქვეყნის კეთილდღეობის მოსაწყობად უგზავნის ხალხს გრაფ ვიტტეს, რომელსაც თან აახლებს წესიერების დასაცველად გენერალს ტრეპოვს.

შეშინებულმა თვითპყრობელობამ გამოაცხადა თავისი თავი გაკოტრებულად, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მუშა ხალხმა გამოაცხადა თვითპყრობელობის გაკოტრება თვითპყრობელობისავე ენით...

* *

მაგრამ ჯერ საუკუნო ხსენება, სახელი და დიდება იმ გმირებს, იმ თავდადებულ მეომრებს, რომელთაც იბრძოლეს და თავი გასწირეს თავისუფლების მოსაპოვებლად! მშვიდობა და განსვენება მათ! ჩვენ ვცოცხლობთ, ვცოცხლობთ მხოლოდ მათი შემწეობით, თავისუფლებამ შემოგვაშუქა მხოლოდ მათი წყალობით! ისინი მოკვდნენ, რომ მოენიჭებიათ ჩვენთვის სიცოცხლე! მიისწრაფოდნენ თავისუფლებისაკენ, რომ ჩვენ გვღირსებოდა ეგ თავისუფლება!

ისინი არ ცხოვრობდნენ საკუთარის ცხოვრებით, ცხოვრობდნენ სხვებისთვის. არ იცოდნენ პირადი ბედნიერება, ბედნიერნი იყვნენ მხოლოდ იმით, რომ შორს ხედავდნენ ჩვენს ბედნიერებას. მოკვდნენ, რადგან არ შეეძლოთ მონებად ყოფნა; მოკვდნენ, რომ ხიდი გაედვათ თავისუფლებისაკენ! მოკვდნენ და სხვებს უჩვენეს გზა ბრძოლისა და განთავისუფლებისაკენ!

მათმა ბრძოლამ და სიკვდილმა მოგვანიჭა თავისუფლება. მოგვანიჭა იმის უფლება, რომ აღარ აწამებს ჯალათი ჩვენს სიტყვას და გრძნობას, უამისოდ დღესაც უენონი, უსიტყვონი და უაზრონი ვიქნებით და ლაც ხაზებით და წერტილებით უნდა გამოგვეთქვა ჩვენი გულის დარდები. ისინი დაიხოცნენ, ჩვენ ვსტკბებით სიცოცხლით, მათის მონიჭებული სიცოცხლით!

სახელი და დიდება იმათ, რომელთაც იბრძოლეს და დაიხოცნენ თავისუფლებისთვის, რომელთაც შეეძლოთ მოძმის სიყვარული და მოძმის სიცოცხლისათვის გასწირეს თავისი სიცოცხლე, რომელთაც დაივიწყეს თავისი თავი საერთო საქმისათვის! სახელი და დიდება იმათ, რომელნიც დაიხოცნენ უდროოდ საპყრობილეში, შორს უცხო ქვეყანაში გარდახვეწილნი, მტრის ტყვიისაგან გულ განგმირულნი ბრძოლის ველზე! საუკუნო ხსენება ცხრა იანვარს დახოცილებს, რომელნიც მიდიოდნენ წინ ღრმად დარწმუნებულნი, რომ თავისუფლება და სამართალი იმგვარივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანისათვის, როგორც ჰაერი და წყალი. საუკუნო ხსენება ბათუმის მებრძოლ მუშებს, რომელნიც ხედავდნენ, რომ მხოლოდ ბრძოლით მოიპოვების თავისუფლება, და დაიხოცნენ ბრძოლაში! საუკუნო ხსენება და დიდება გურიის გმირებს, რომელთა სისხლი მთელი ქვეყნის წინაშე ღაღადებს მუშა ხალხის სიძლიერეს! საუკუნო ხსენება გრემში, ერწოში, მჭადიჯვარში, აბაშაში დახოცილებს, 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერის მსხვერპლებს!..

მშვიდობა მათ გვამებს! ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ მათ სახელებს, ვერ დავივიწყებთ იმ ადგილებს, რომელიც მოირწყო მათი წმინდა სისხლით! ეს ადგილები ხალხის სალოცავი ადგილებია, აქ მოიგონებს ხალხი თავისუფლებისათვის თავდადებულებს, აქ შეჰფიცავს ხალხი ერთმანეთს, რომ არ უღალატოს გარდაცვალებულთა წმინდა ანდერძს და შური იძიოს, სამაგიერო გადაუხადოს მტარვალებს და ჯალათებს. სახელი და დიდება იმ მებრძოლთაც, რომელნიც იტანჯებოდნენ და იტანჯებიან დღესაც სხვა და სხვა ციხეებსა და საპყრობილეებში, რომელნიც განდევნილნი იყვნენ თავის ქვეყნიდან და არ შეეძლოთ ენახათ სამშობლო კერა. სალამი თავისუფლებისათვის წამებულებს!

მონობის ბორკილი იმსხვრევა და როდე საც ჯალათთა სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენდება ხალხური წესწყობილება, თავისუფალი ხალხი შესაფერ ძეგლს ააგებს თავის გმირების მოსაგონებლად: ეს იქნება მოსაგონებელი განვლილ დღეთა და მაგალით შთამომავლობისათვის. ეს იქნება იქ, სადაც დღეს აგებულია ძალმომრეობის და მტარვალობის ძეგლი — ჯალათების „დიდების ტაძარი“. აქ, ამ ტაძრის ნანგრევებზე ააშენებს ხალხი ხალხურ ტაძარს თავისუფლების სადიდებლად. ჩვენ აღარ გვინდა ძალმომრეობის დიდება, ჩვენი დიდება იქ არის, სადაც არის ხალხის კეთილდღეობა და თავისუფლება!

სახელი და დიდება თავისუფლებისათვის თავგამოდებულთ! სალამი თავისუფალ ხალხს და თავისუფლების დიდების ძეგლს, ჯალათების ტაძრის ნანგრევებზე აგებულს ძეგლ

* *

ბიუროკრატიამ თავისი გაკოტრება გა მოაცხადა. რა საშინელი დაცინვაა! იგი ა ძულეს, ძალა დაატანეს, რომ თავისი პირით გამოეცხადებია თავისი გათახსირებ

სასტიკი სასჯელია, თუ კი შეიძლე რაიმე სასჯელი სასტიკი იყოს თვითმპყრო ბელ ბიუროკრატიის შესახებ. მეგონა, მე თავმოყვარეობა ექნებოდა ყოველს ომახვ ვაში. მაგრამ დახეთ ქვეყნის ტრიალ ესეც კი აღარ შერჩენია. მართალია, ძალი მოქარგულ და მიხვეულ-მოხვეულის ენი გამოაცხადა, მაგრამ მაინც გამოაცხადა, რო

ლისტურ აზრების გავრცელება და არსებულ პოლიტიკურ წესწყობილების შეცვლა რევოლუციონურის გზით. ამ აზრის მისაღწევად პარტიას აღნიშნული ჰქონდა შემდეგი საშუალებანი: 1. ქადაგება სოფლის მუშა მალხში იმისა, რომ მიწა მარტო მშრომელ ხალხს ეკუთვნის; *) 2. გლეხების აღელვება თავად-აზნაურთა და მთავრობის წინააღმდეგ; 3. დაარსება უფასო სკოლებისა, შექმნა არტელების და საზოგადოებებისა კომუნისტურ პრინციპებზე და სხვა.

„ორგანიზაციის“ წევრნი ორ ნაწილად განიყოფებოდნენ, ერთი ნაწილი მხოლოდ პროპაგანდას მისდევდა და ამ საშუალებით ფიქრობდა შეეცვალა არსებული წესწყობილება. მეორე ნაწილი-კი პროპაგანდის გარდა აღიარებდა ტერრორს, რომ მალე მიეღწია პირველ მიზნისთვის, ე. ი. პოლიტიკურ განთავისუფლებისთვის. ამ უკანასკნელ პარტიას ეკუთვნოდა თვით კარაკოზოვი. პარტიამ, რომელმაც სხვა მოქმედებასთან ერთად ტერრორიც აღიარა, დააარსა მოსკოვში ცალკე წრე და უწოდა სახელად „ჯოჯოხეთი“.

3 სექტემბერს 1866 წ. პეტერბურგში სმოლენსკის ველზე, დილის 7 საათზე, ჩამოახრჩვეს დ. კარაკოზოვი. კარაკოზოვის პროცესში გაბმული იყო სულ 34 კაცი. მათ შორის იშუტინს, სოც.-რევოლიუციონურ წრის „ჯოჯოხეთის“ როგორც ერთ მეთაურს, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. დანარჩენ ორს—სამუდამო კატორგა, ერთს 20 წლის კატორგა, სამს—12 წ. კატორგა, ერთს—8 წ. კატორგა, ხოლო დანარჩენთ: ზოგს ციმბირში სამუდამოდ და ვადით გაგზავნა და ზოგსაც საპყრობილეში დაპატიმრება. ამ უკანასკნელთა შორის ექვსის თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს ჩვენს თანამემამულეს თავ. ვარლამ ჩერქეზიშვილს.

ასე „მსუბუქად“ სჯიდნენ 1814 წლიდან დაწყებული სოც.-რევოლიუციონერებს ამ დიად შეგნებულ და თავგანწირულ მებრძოლთ ხალხის პოლიტიკურად და ეკონომიურად განთავისუფლებისთვის. **მ—ხი.**

უმაღლესი მანიფესტი

დიდის მწუხარებით აღავსო ჩვენი გული იმ არეულობამ, რომელიც მოედო ზოგიერთ მაზრების სოფლებს, სადაც გლეხობა ძალ-მომრეობას სჩადის კერძო მემამულეთა კარ-მიდამოებში. არავითარ ძალ-მომრეობის და თვით-ნებობის მოთმენა არ შეიძლება, და ჩვენ მიერ დაყენებულ მოხელეებს, სამოქალაქოსა და სამხედროს, ებრძანათ ყოველი ღონე იღონონ უწესოების თავიდან ასაცილებლად და მოსასპობად, ამასთან დასაჯონ დამნაშავენი. გლეხთა საჭიროებანი გულსა გვხვდება და არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვებულ იქმნას. ძალადობა და დანაშაულობის ჩადენა, სულ ერთია, გლეხთა მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს, სამშობლოს კი დიდ მწუხარებას და უბედურებას მიაყენებს. ერთად-ერთი გზა გლეხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად—არის მშვიდობიანი და კანონიერი გზა, და ჩვენს უპირველესს საზრუნავსაც ყოველთვის გლეხთა ყოფა-ცხოვრების განკარგება შეადგენდა. ამ ბოლო დროს ჩვენ ვუბრძანეთ შეეკრიბათ და წარმოედგინათ ჩვენთვის ცნობები იმ ზომების შესახებ, რომელნიც შეიძლება ეხლა მიღებულ იქმნას გლეხობის სასარგებლოდ. ამ საქმის განხილვის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ:

1. საბატონო, სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხთა სანადელო გადასახადები 1906 წლის 1 იანვრიდან შემცირდეს სანახევროდ, ხოლო 1907 წლის 1 იანვრიდან—ეს გადასახადები სრულიად მოისპოს.

2. შეძლება მიეცეს გლეხთა საადგილმამულო ბანკს უფრო ნაყოფიერად დაეხმაროს მცირე მიწა-წყლიან გლეხებს შესყიდვით თავიანთ ადგილების გაფართოვების საქმეში; ამისთვის უნდა გადიდოს ბანკის თანხა და დაწესდეს სესხის გაცემის უფრო შეღავათიანი წესები.

ამ ზომების განსახორციელებლად უკვე გავეცით განსაკუთრებული ბრძანებანი. დარწმუნებულნი ვართ, რომ შემდეგ საერთო შრომა ჩვენი და რუსის ხალხის მიერ არჩეულ საუკეთესო წარმომადგენელთა, რომელნიც სხვა ჩვენ ქვეშევრდომთან ერთად უნდა თავისუფლად დაასახელონ გლეხებმაც, შესძლებს გლეხთა სხვა საჭიროების დაკმაყოფილებასაც ისე-კი, რომ საწყენად არ დარჩეთ სხვა მიწის პატრონთ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენთვის საყვარელი გლეხობა, ქრისტიანულ სიკეთისა და სიყვარულის თანახმად, შეისმენს ჩვენს ხელმწიფურს მოწოდებას, დაიცავს ყველგან მშვიდობიანობას და სიწყნარეს და არ დაარღვევს კანონს და სხვათა უფლებას.

ცარსკოე სელო, ნოემბრის მესამე დღე, 1905 წელს. ნამდვილს საკუთარის ხელით აწერია: **„ნიკოლოზ“.**

განსაკუთრებულის უმაღლესის ბრძანებით ვუბრძანეთ, იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის სასყიდად, ბანკის წესდების მე-43 მუხლის 1 პ. თანახმად, სესხს თხოულობენ უმიწა-წყლო და მცირე მიწა-წყლიანი გლეხები, რომელთაც საკმაო შეძლება არა აქვთ შეავსონ ბანკიდან მიცემული ფული, რომლის რაოდენობაც 90%-მდეა, გაიცეს სრული სესხი. ყოველ ასეთ შემთხვევისთვის საჭიროა ნება-რთვა ფინანსთა მინისტრისა და მიწათ-მოქმედების უფროსისა.

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო!

უდროოდ დაკარგულ ძმის სტუდენტის ალექსანდრეს სახსოვრად, რომელიც თავგანწირულად ემზადებოდა საზოგადო ასპარეზისთვის და სიცოცხლის უკანასკნელ წამებშიაც კი მთელის არსებით ჰსულდგმულობდა განუსაზღვრელის სიყვარულით სამშობლოსადმი და თვის ერისადმი—ვწირავ საქართველოს მშვენებას, თავისუფლებისათვის მებრძოლ მამაც გურულთა სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით 25 მან. ამავე აზრით გვირგვინის სამაგიეროდ ალექსანდრეს გულჩათუთქული მშობლები, დეკანოსი ლაზარე და დედა ეკატერინე დიმიტრის ასული გაახლებენ 15 მან. და აგრეთვე დები ალექსანდრესი—თამარა—5 მ., ნადეჟდა—3 მ. საერთოდ 43 მანეთს.

ექიმი **კონსტ. ტურიაშვილი**

ბ-ნო რედაქტორო!

ჩვენის თვალით ნანახს გარდა თქვენის გაზეთის შემწეობით თითქმის სულ გავითვალისწინეთ რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა და ამასთან ჩვენის მეზობელ მოძმის, გურულებისაც, რომელნიც თავგანწირულად იბრძვიან და იძახიან—„ან სიკვდილი ან თავისუფლებაო“! ჩვენ მეტად გვაღონებს მათი (გურულების) გაჭირვებული მდგომარეობა და ყაზახების მიერ მათი სახლ-კარის განადგურება. ამისთვის თევდორე-ლ. დარახველიძის საკანდიტეროში მომუშავეთ, დიდ-პატარის განურჩევლად, შევკრიბეთ ფული და გიგზავნით გურულთა სასარგებლოდ 7 მანეთს და საკანდიტეროს პატრონის მხრითაც 3 მანეთს, სულ 10 მანეთს. **საკანდიტეროს მუშები**

ბ-ნო რედაქტორო!

ამასთან ერთად გიგზავნით ოცდა ხუთ მანეთს და გთხოვთ ამ ფულიდან 15 მანეთი მიაწოდოთ დაზარალებულ და აკლებულ ჩვენ სანაქებო თანამოძმეებს—გურულებს, 10 მანეთი კი გადასცეთ საქართველოს სხვა კუთხეების დაზარალებულ სოფლების სასარგებლოდ. ექიმი მ. **მანსვეტოვი**

ბატონო რედაქტორო!

შევიტყეთ მხნე და გაბედულ გურულების დაზარალება. ამ ამბავმა ძალიან დაგვაღონა. ჩვენ, მიხეილ ხოსროაშვილმა და ლევან ჩიკვილაძემ, მივმართეთ იარმუკაში ჩვენს ნაცნობ და მეგობარ ხელოსნებს და მოვაჭრეებსა და ვთხოვეთ დახმარება გაეწიათ გადაბუგულ გურულებისთვის. ყველამ თანაგრძნობით მიგვიღო და გაიმეტა ფული შეძლებისა დაკვალად. აქვე გაახლებთ ამ ფულს, სულ 36 მანეთს და აი შემომწირველთა სიაც:

მიხეილ ხოსროაშვილი 1 მ., ლევან ჩიკვილაძე 2 მ., ალექსა [illegible]არშარაშვილი 1 მ., ალექსა უსეინაშვილი 50 კ., კურაგოვი 1 მ., სანდრო ფოჩხიძე 1 მ., დომენტი სულაძე 20 კ., გერასიმე პეტრიაშვილი 20 კ., გიორგი ჯანყარაშვილი 50 კ.. დარჩო ღარიბოვი 1 მან., იოსებ ხუროშვილი 50 კ., ვასო მრევლიშვილი 50 კ., გარსო ასლამაზოვი 50 კ., ნიკალაი მირონაშვილი 1 მ., ბესო კობახიძე 50 კ., იაგორ შაინოვი 20 კ., მამა და შვილი იაგორ და აპკარა 20 კ., პეტრუს მარკაროვი 50 კ., თომა ჯანკარაშვილი 50 კ., დათა თანგულაშვილი 20 კ., ალექსანდრე ბეჟანიშვილი 50 კ., მ. დ. კაიშაური 1 მ., სარქის აფიცერიანც 30 კ., ძმანი არუთინოვები 50 კ., მამა და შვილი შაქარ და ვანო 1 მ., გეურქ მირაქოვი 50 კ., სანდრო სულთანოვი 20 კ. იაგორ ყუშიტოვი 50 კ., გიგა მირინაშვილი 1 მ., დათიკო ჩეკურაშვილი 50 კ., ბეჟან ქობულოვი 50 კ., სანდრო ქუფაჩიანცი 50 კ., გიორგი ელისბაროვი 1 მ., ლევან ხმალაძე 50 კ., ალექსა უკუზოვი 1 მ., პეტრე ფურხული 1 მ., გეურქ ხეჩატუროვი 1 მ. პლატონ სხილ ტლაძე 50 კ., ვასილ კოჩიაშვილი 50 კ., ასლან არაქელოვი 50 კ., სანდრო ტერ-ნიკოლოზოვი 10 კ., სტეპკო ანდრიასოვი 50 კ., ფიდო ხუროშვილი 1 მ. ძმანი თომა და ვასო გოგინოები 50 კ., ვანო ვარნაწოვი 20 კ., ალექსანდრე გოგინოვი 20 კ. ილია გელაშვილი 20 კ., ივანე ძიძიგური 1 მ., სტეპკო მირზოევი 20 კ., საბა კევლიაშვილი 50 კ., მიტრო ლოხიშვილი 20 კ., შოთა ხოსროაშვილი 20 კ., სოფიო ხოსროაშვილი 30 კ., ლადო ჩიკვაიძე 1 მ., ა. სომოვი 50 კ., სირაჯის ბიჭები სააკოვისა 2 მ., ხოსროაშვილის შეგირდები გიორგი ობლიშვილი 30 კ., ვიკტორ კოკაია 20 კ., მიშა კენჭელაძე 20 კ., ლავრენტი კილასონია 20 კ., ვასილ ჯანყარაშვილი 50 კაპ.

მივიღეთ აგრეთვე ბაბო ცეცხლაძის მიერ შეკრებილი 83 მან. 70 კ.

ირაკლი ცეცხლაძე 5 მ., ირენა კოფ. 50 კ., მაშო ჯინჭარაძე 3 მ., ნასიძე 1 მ., ალექსანდრე ლომიძე 50 კ., სანდრო დარჩოშვილი 3 მ., ნიკო 3 მ., იაკობ ბალათურია 5 მ., შერმანდი კილაძე 3 მ., პლატონ წილოსანი 1 მ. სილიბასტრო გოგვაძე 2 მ., მიხა კაჭარავა 3 მ., ირაკლი ქანთარია 5 მ., ერმილე ჩხარტიშვილი 2 მ., დიმიტრი მელაძე 5 მ.; ექვთიმე ქაფიანიძე 3 მ., მირიან ჩხარტიშვილი 50 კ., სულხანოვი 1 მ., მიქაძე 50 კ., გიორგი თემურაზოვი 50 კ., პელ. მარქაროვი 1 მ., გედევან ვახტანგოვი 2 მ., კაჭკაჭევი 3 მ., ნ. ზურაბოვი 1. მ., ნ. წატუროვი 1 მ., რ. ს. 50 კ., ბერიძე ზაქარ 1 მ., ზაქარია დავიდბეგოვი 40 კ., ალექსანდრე შენგელია 50 კ., იაკობ ხამაშურიძე 1. მ., გ. მ. დიდზურაბოვი 3 მ., მარკოზ და ივანე კირაკოზოვები 3 მ., სარქის ახვერდოვი 50 კ., დავით სავრელიძე 50 კ., ბოჭორიძე 50 კ., ბარნაბა ბაშელი 2 მ., შალვა ჭანტურიშვილი 3 მ., კალისტრატე შენგელია 1 მ., გრიგოლ ქოიავა 50 კ., ალექსი მჭედლიშვილი 1 მ., გიორგა ქედია 3 მ., ლუკა ჩხუბარაშვილი 3 მ., ივანე ბაქანიძე ერთი მ., ილიკო ლომინაძე 1 მ., თედორე მარდალეიშვილი 2 მ., გრიკუროვი ასლან 50 კ., რაჟდენ 50 კაპ. კაპანაძე 30 კ., ლევან კალანდაძე 50 კაპ.

სულ დღევანდლამდე შემოვიდა 334 მ. 70 კ.

ახალი ამბავი

◆ **კავშირთა კავშირისაგან.** პეტერბურგის „კავშირთა კავშირის“ მთავარმა კომიტეტმა, საგანგებო სხდომაზე 30 ოქტომბერს დაადგინა, მიჰმართოს ყველა კავშირს და მოიწოდოს პროტესტის გამოსაცხადებლად იმის გამო, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის აზრი დათრგუნვილ იქმნა პოლონეთში და შემოღებულ იქმნა საომარ დროის წესები, ეს განსაკუთრებითი და არა კანონიერი ღონისძიება პოლონეთის მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

◆ **მიტინგები.** დღეს, 6 ნოემბრისთვის, დილით, ტფილისში დანიშნულია რამდენიმე მიტინგი. დიდუბეში მოხდება ფედერალისტურ პარტიების (სამი პარტია) მიტინგი, ნაძალადევში—სოციალ-დემოკრატიის პარტიისა, მამადავითის მთაზე—მოხელეებისა.

◆ **მიტინგი.** სამშაბათს, 8 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, მოხდება მიტინგი შინა მოსამსახურეთა, ქალთა და კაცთა. მიტინგის მოთავენი სთხოვენ ოჯახის პატრონთ ხელი არ შეუშალონ მოსამსახურეთ და რამდენიმე საათით განუთავისუფლონ ამ მიტინგზე დასასწრებლად.

◆ **მოსწავლეთა მიტინგი.** გუშინ ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის ეზოში მოხდა ტფილისის მოსწავლეთა მიტინგი. დაესწრო 1000-ზე მეტი მოსწავლე. მიტინგს უნდა გადაეწყვიტა, შეუდგნენ სწავლას თუ არა. კამათმა თითქმის საღამოს ხუთ-ექვს საათამდე გასტანა. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სწავლის დაწყებისა. რეზოლიუციას შემდეგ დავბეჭდავთ.

◆ **უარის თქმა ჯარში გასვლაზე.** ორ ნოემბერს გათავდა დუშეთის სამხედრო საკრებულოში კენჭის ამოღება. ახალგაზდათ სამხედრო საკრებულოს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1. განთავისუფლება დუშეთის საპყრობილიდან პოლიტიკურ დამნაშავეთა; 2. ორის წლის სამსახური ჯარის კაცთათვის ტფილისის გუბერნიაში, 3. თვეში ხუთი მანეთი ჯამაგირი და სახაზინო ტანისამოსი უკლებლად. თუ ეს მოთხოვნა შეწყნარებულ არ იქმნა, უარს ვაცხადებთ ჯარში წასვლაზეო. საკრებულომ უპასუხა, რომ ამ მოთხოვნების განხილვისა და დაკმაყოფილების უფლება საკრებულოს არა აქვსო. სამხედრო ბეგრისთვის მოწვეულთ ფიცზე უარი სთქვეს და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

◆ **როსტოვში დაპატიმრებული ქართველები.** „კავშირთა კავშირის“ როსტოვის განყოფილებამ წერილობით წინადადება მისცა ტფ. ქალაქის საბჭოს, დაუყოვნებლივ შუამდგომლობა აღძრას ნამესტნიკის წინაშე, რომ გაანთავისუფლოს როსტოვის საპყრობილეში მყოფი ქართველები.

◆ **კრებული გურულთა სასარგებლოდ** წიგნების გამომცემელ ამხანაგობას „ცისკარ“-ს გადაუწყვეტია გამოსცეს სალიტერატურო კრებული დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. რედაქცია კრებულისა მინდობილი აქვს ი. ს. გოგებაშვილს.

◆ **ოპერა გურულთა სასარგებლოდ.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გამართოს ოპერა „სევილიელი დალაქი“ 20 ნოემბერს. გამგეობამ დაადგინა აგრეთვეე მეორე წარმოდგენა გამართოს ქართლში ეგზეკუციებისაგან დაზარალებულ გლეხთა სასარგებლოდ.

◆ **საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, სინოდს საკითხი საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ პეტ. სასულიერო აკადემიის პროფესორის სოკოლოვსკისთვის გადაუცია განსახილველად. პროფ. სოკოლოვსკი, აგრეთვე პეტ. მიტროპოლიტი ენტონი მომხრენი არიან თურმე ავტოკეფალიისა.

◆ **თვით-დაცვა.** ტფ. ქალაქის გამგეობას სხვა და სხვა პარტიებმა სთხოვეს, ფული გადასცეს თვით-დაცვის საქმის მოსაწყობად.

◆ **კენჭის ამოღება.** სურამში კენჭის ყრა დასრულდა. ძალიან ცოტანი გამოცხა-

---

ძალა აღარ შეაწევთ: წინანდებურად სცემონ, გაწამოს და სისხლი სწოვოს.

საკვირველი ცვლილება მოხდა რუსეთის ცხოვრებაში სულ რამდენისამე განმავლობაში; ნელ-ნელა გამოაძვრინეს ხვრელიდან, ძალიან ნაზობდა, ხმის ამოღება არ უნდოდა. მუჯლუგუნი წაჰკრეს. რაო? იკითხა.— ბრძანეო, მოახსენეს. დაიწყო, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მაინც თავისებურად გაათავა და რაც თავისუფალი სიტყვა წამოცდა, ბულიგინს მიანდო, სათითაოდ მოჰკრიბე და ჯურღმულში ჩამარხეო. ბულიგინმაც ჩამარხა. მაგრამ როდესაც მუჯლუგუნი არ აკმარეს, შეფიქრიანდა, შეშინდა და თუმცა ბევრი იტრიალა, მაინც იძულებული გახდა, გამოეცხადებია თავისი უვარგისობა.

გამოაცხადა, მაგრამ ამით ყველაფერი გათავდა, თვითმპყრობელობის რეჟიმი სრულიად მოისპო და ჩვენ უნდა ვიდღესასწაულოთ გამარჯვება? იგი დამარცხდა, მისი დღეები დათვლილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ გათავებულა ბრძოლა და დღეს დამცირებული და შერცხვენილი შეეცდება, დაიბრუნოს დაკარგული და აღადგინოს თავისი საბრძანებელი, შეეცდება შეირჩინოს, რაც შეიძლება, მეტი უფლება, უფლება ძალმომრეობისა. რაც 17 ოქტომბერს გამოცხადდა, ეს თვითმპყრობელობის რეჟიმის უარყოფა, სიკვდილია. და რასაკვირველია, თავის თავის სიკვდილს ადვილად არავინ შეურიგდება. რაც უნდა უძლური და დაცემული იყოს ის მაინც ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავისი თავი დაიცვას. ამიტომ მთლად გასაკვირველი არ იქნება, თუ ერთს მშვენიერს დღეს ჩვენ წავიკითხავთ ახალს განცხადებას, იმავე „ხალხის სიყვარულით“ გამოწვეულს, რომ თავისუფლება არც ისე საჭიროა ხალხისათვის ან იგივე ძველი წესები უნდა იქნეს აღდგენილი დროებით, სანამ ქვეყანა დაწყნარდებოდეს და თავის კალაპოტში ჩადგებოდესო.

გასაკვირველი არ იქნება ასეთი განცხადება. თუ თებერვალში ერთს დღეს ერთი მეორის საწინააღმდეგო მანიფესტი გამოიცა, რად უნდა გაგვიკვირდეს, რომ რამდენისამე კვირის განმავლობაში ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო განცხადება დაიბეჭდოს. სულ სხვა კითხვაა, რა მოჰყვება ამას, რას უნდა მოველოდეთ ამის შემდეგ? მხოლოდ სრულიად ბრმა ვერ დაინახავს ახლო მომავალს. ვიმეორებ, თვითმპყრობელობის დღენი დათვლილია და რაც უნდა მოინდომოს რეაქციამ, ვერაფერ შემთხვევაში ვერ დაიცავს მას. რაც დღეს რეაქციონერია, ყველა რომ გენიოსის ნიჭით იყოს მოსილი, მაინც ვერას გახდებოდნენ და ვერ მიიყვანდნენ ხალხს ძველი კერპების წინაშე მუხლების მოსადრეკელად. ეს სადავო აღარ არის: თვითმპყრობელობის მოსპობა და ხალხის გაბატონება—ეს რაღაც შემთხვევით სურვილი და ოცნება კი არაა, არამედ სტიქიური მოვლენაა, და განა მარტო ამ რეჟიმის მოსპობაა საჭირო? ეგ ძლიერ ცოტაა, ეგ პირველი ნაბიჯია!..

მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობა მაინც თავისას ეცდება, ეცდება იმდენად უფრო, რამდენად მოუმზადებელი იქნება ხალხი. სხვა არავითარს მოსაზრებას არ მიიღებს მხედველობაში, ის დაემორჩილება მხოლოდ ძალას. მან დაუთმო დღეს მარტო ხალხის ძალას და მკრთალად, ბუნდოვანად გამოაცხადა თავისი სილატაკე. მხოლოდ ამ ძალას შეუძლია კიდევ უფრო და უფრო ალაგმოს, დაახევინოს უკან, ყოველ დღე დააუძლუროს და მიიყვანოს იმ მდგომარეობამდის, როდესაც მას განძრევის სახსარიც აღარ ექნება.

ყოველი უფლება ბრძოლით მოიპოვების, განსაკუთრებით საჭიროა ბრძოლა დღეს რევოლიუციის დროს. რევოლიუცია მხოლოდ იწყება, ის ჯერ არ გათავებულა და ყოველთვის დავკარგავთ იმასაც, რაც მოვიპოვეთ, თუ მუდამ მზად არ ვიქნებით, იარაღით ხელში დავიცვათ თავისუფლება. თვითმპყრობელობის მოქმედება და პოლიტიკა დამოკიდებულია მხოლოდ ხალხზე: თუ ხალხი მომზადებული იქნება, შეკავშირებული და გაერთიანებული, თვითმპყრობელობა ხმას ვერ ამოიღებს და თუ ამოიღებს და მოინდომებს უკვე გამოცხადებული თავისუფლების წართმევასაც, ძლიერ მოკლე იქნება მისი მეტყველება და სულ მალე გადაწყდება მისი ბედი, ყოველი მისი წინაამდეგობა მოაახლოვებს მის აღსასრულს და კიდევ მეტსაც…

მუდამ შეიარაღებული და გამზადებული ხალხი, აი სად არის თავისუფლება, აი სად არის ძალა რევოლიუციისა, აი სად არის წყარო ხალხის კეთილდღეობისა. დღევანდელმა ბრძოლამ უნდა აღზარდოს ხალხი. ყოველი რევოლიუცია მარტო იმით-კი არ არის ძვირფასი, რომ უფლებას მოგვიპოვებს, არამედ უფრო იმით, რომ გვამზადებს უფრო მაღალ უფლების მოსაპოვებლად, უფრო მედგარ ბრძოლისათვის. დღევანდელი რევოლიუციის ბატონი—მუშა ხალხი—იმიტომ არ აღსდგა მხოლოდ, რომ მოიპოვოს პოლიტიკური თავისუფლება, და შემდეგ, დაჰყაროს იარაღი. არა, ეს მხოლოდ დასაწყისია მისი ბრძოლისა! პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება მარტო იარაღია, გზა არის. მუშა ხალხი სოციალიზმისკენ მიდის, მხოლოდ იქ მოიპოვებს მოსვენებას, სამართალს და ადამიანურ ცხოვრებას. და მუშა ხალხი არ დაჰყრის იარაღს, სანამ არ მიაღწევს თავის მიზანს, არ აიღებს ბრძოლაზე ხელს განსაკუთრებით, სანამ პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად არ იქნება განხორციელებული უმთავრესი ეკონომიური რეფორმები მუშებისათვის, სანამ მიწის მუშებს არ გადაეცემათ მთელი მიწა საერთო საფლობელოში.

მაგრამ ჯერ არა გვაქვს უბრალო თავისუფლებაც-კი, იგი მხოლოდ გამოცხადდა ბუნდოვანად. საჭიროა მისი გამორკვევა და დამყარება. საჭიროა მომზადება ბრძოლისათვის, სერიოზულ, მედგარ ბრძოლისათვის. რევოლიუცია იწყება მხოლოდ…

**

ვინ იკისრა თავისუფლების განხორციელება? ვიტტემ და მისმა ამხანაგებმა, რომელთაც მთელი სიცოცხლე თვითმპყრობელობის დაცვას და ხალხის დაჩაგვრას შეალიეს. ვიტტეს პოლიტიკა არ იყო, რომ გაალატაკა, გაანადგურა მთელი რუსეთის გლეხკაცობა? ვიტტე არ იყო, რომ ადგენდა ყალბ ხარჯთ-აღრიცხვას, რომ მოეტყუილებია საზოგადოება? ვიტტემ არ შეადგინა შესანიშნავი მოხსენება, რომ თვითმპყრობელობა ვერ შეურიგდება თვითმმართველობას, ამიტომ უნდა მოისპოს ერობაო? იმ ბიუროკრატიამ უნდა მოაწყოს ჩვენი თავისუფლება, რომელიც სჩადიოდა ყოველგვარ უსინიდისობას, ყვლეფდა ხალხს, ძარცვავდა ხაზინას და მარტო თავის დაწინაურებაზე ფიქრობდა? ეს ბიუროკრატია არ იყო, რომ ომის დროსაც, როდესაც ბრძოლის ველზე უმოწყალოდ იხოცებოდა ხალხი, იმის თხოვა დაიწყო, რომ ჯამაგირები მოგვიმატეო? განა დავენდობით იმ ადამიანებს, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არც კანონზე და არც უფლებაზე? რა არის სამართალი და ხალხის უფლება იმ მოხელეებისათვის, რომელთაც ჩვენს თვალ წინ ჩაიდინეს მთელ რუსეთში უმაგალითო მხეცობა და ზნედაცემულებს და ავაზაკებს ამოაჟლეტინეს მოქალაქენი, არ შეიბრალეს ქალებიც და ბავშვებიც? განა კაცობრიობას ახსოვს კიდევ მეორე იმისთანა რამე, რაც მოხდა ტომსკში, სადაც ცოცხლად დასწვეს ექვსასი სული ადამიანი? და ვისი წყალობით იყო ეს, თუ არა ჩვენის მოხელეების, ბიუროკრატების, თვითმპყრობელობის დარაჯების წყალობით?

ამათ უნდა ჩავაბაროთ ჩვენი თავისუფლება და იარაღი დავყაროთ? ძალიან გულუბრყვილონი ვიქნებით! ძალიან გულუბრყვილონი იქნებიან ბ-ნნი გუბერნატორები, გენერლები და გენერალ-გუბერნატორები, თუ ამას ფიქრობენ ფეხზე აღმდგარი ხალხი არ დაწყნარდება, სანამ არ დაამყარებს თავის ბატონობას და არ გასწმენდს ქვეყანას ყოველგვარ ჯალათებისაგან, თვითმპყრობელობის სუნისაგან!

მით უმეტეს არ დაწყნარდება ჩვენი ქვეყანა, რომელმაც განსაკუთრებით იგემა თვითმპყრობელობის და ბიუროკრატიის სიმშვენიერე. ისტორია გადმოგვცემს, რომ ბევრი შავი დღე უნახავს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ არაფერი შეედრება იმას, რაც გამოიარა ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. დღიდან შეერთებისა რუსის თვითმპყრობელობა სულ იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტად დავეჩაგრეთ, შევევიწროვებიეთ, გავენადგურებიეთ და მოვესპეთ ერთიან. ვერაგულად დაარღვია შეერთების პირობები, წაგვართვა ყოველივე უფლება, მოგვისპო სკოლა, მწერლობა, ენა, სამართალი, ჩვენს წირვას ძაღლების წირვა უწოდა და გამოგვდევნა ჩვენის ეკლესიიდან; წაგვართვა ჩვენი სისხლით მორწყული მიწა-წყალი, გაგვაძევა საკუთარის სახლიდან და ჩვენი სამშობლო ქვეყანა ჩვენთვის შეიქმნა უცხო.

მაგრამ წარმოუდგენელია ის, რაც ხდებოდა ბოლო დროს ჩვენში. ისეთი ადამიანები დაგვიდგნენ ბატონებად და მმართველებად, რომელთა ადგილი საპყრობილეში ან საგიჟეთშია. ვინ იყო ვოსტორგოვი, ეს ყოვლად გარყვნილი და დაცემული ადამიანი? ვინ იყო გოლიცინი, ეს სულიერად დაავადმყოფებული თავადი? ვინ იყვნენ დონდუკოვ-კარსაკოვი, შერემეტიევი, ეზარხოსები? მათ მოევლოთ უნდა ჩვენთვის, შემოეტანათ განათლება და კანონი? სად არიან ეხლა ეს ვაჟბატონები და რატომ არ წარმოსდგებიან ხალხის სასამართლოს წინაშე?

რატომ არა სდგას მუხლმოდრეკილი გენერალი შირინკინი ხალხის წინაშე? განა ხალხი დაივიწყებს თავის მოძმეებს, ასე მხეცურად, შეუბრალებლად დახოცილებს 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს? ამ შირინკინმა არ აიკლო გორის მაზრა და უარესს არ ჰპირდებოდა მთელს საქართველოს? მან არ განიმეორა შაჰ-აბასის და აღამაჰმადხანის შემოსევა? რად სდუმს ეხლა? ჰგონია, რომ ხალხი დაივიწყებს მის ღვაწლს?

სიტყვა

---

*) რამდენადაც შეიძლებოდა იმ დროს, ქარხნებშიაც დიდად მოქმედებდნენ სოც.-რევოლუციონერები და პირველი გაღვიძება მუშებისა სწორედ ამ პარტიას ეკუთვნის და არც იყო იმ დროს სხვა სოციალისტური პარტია. გავიხსენოთ მიხაილოვის ბროშიურა „ძმა მუშებს“, ჩერნიშევსკის წერილები და სხვა.

დებულან. ამათი უმრავლესობაც წასულა და დასაფიცავად აღარ გამოცხადებულან.

✦ **ადრესი გურულებს.** ქართველ საზოგადოების ერთ წრეს აზრადა აქვს ადრესი მიართვას გურულებს თავ-განწირულ ბრძოლისათვის.

✦ **ბიუროკრატიის ნაშთი.** ბიუროკრატიას ჯერ კიდევ არ მოუსპია ის საზიზღარი საშუალებანი, რომელსაციგი სინათლის ჩასაქრობად და სიბნელის გასამეორებლად მიმართავდა ხოლმე. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არის თურმე ორი საიდუმლო ოთახი და რამდენიმე მოხელე, რომელთაც, „ნ. ო.“-ს სიტყვით, დავალებული აქვთ კერძო წერილების ხსნა და კითხვა რაიმე „საეჭვოს“ აღმოსაჩენად. ეს მოხელენი, მანიფესტში აღიარებულ ხელ-უხლებლობის მიუხედავად, ეხლაც განაგრძობენ თავიანთ ჯალათურ საქმეს.

✦ **მოტყუებით ფულის გატანა.** ტფ. საკომერციო ბანკიდან ვიღაც გოზალოვმა ყალბის ჩეკებით 12,000 მანეთი გაიტანა.

✦ **სესხი ნავთის მწარმოებელთ.** მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა მისცეს ბაქოს ნავთის მწარმოებელთ სესხად ოცი მილიონი მანეთი.

✦ **საეკკლესიო ქონების დაბრუნება.** ამაღლების ეკკლესიის მღვდელს მ. ჯაშს შეუდგენია მოხსენება საქართველოს ეკკლესიის მამულებისა და ქონების დაბრუნების შესახებ. ეს მოხსენება გაუცვნია ტფილისელ სამღვდელოებას და დაუდგენია, წარუდგინოს იგი კავ. ნამესტნიკს.

✦ **ქარხნის გამგის დაჭრა.** გუშინ ადელხანოვის ქარხნის მუშამ აკოფოვმა ორჯელ ესროლა რევოლვერი ქარხნის გამგეს კართასარიანცს. მუშა შეიპყრეს.

✦ **დელეგატები მოსწავლეთა კავშირში.** გუშინ მოხდა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება. კრებამ თავის დელეგატებად მოსწავლეთა კავშირში აარჩია ქ-ნნი მონასელიძისა და კუზნეცოვისა და ბ-ნი ჩახნაშვილი.

✦ **სომხური გაზეთი.** ბ-ნმა ტარაიანცმა შუამდგომლობა აღძრა სომხურ ყოველ კვირეულ გაზეთის „აშხადანკ“-ის (შრომა) გამოცემის შესახებ.

✦ **მუშების გაფიცვა.** გუშინ-წინ გაიფიცნენ ტფ. სადგურის დღიური მუშები. მოითხოვეს ქირის მომატება. უფროსმა უთხრა, უმინისტროდ მაგ საკითხს ვერ გადავწყვეტო.

საბა კლდიაშვილი

(წერილი ოდესიდან)

Ein für alle

21 ოქტომბერს დავკარგეთ ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი საბა კლდიაშვილი. თანამედროვე რუსეთის ბნელმა ძალებმა გამოასალმეს წუთი სოფელს ახალგაზრდა და ჯან-ღონით აღსავსე მუშაკი. იგი და მასთან ერთად ბევრი სხვა უმანკოდ შეეწირა რუსეთის გაუმაძღარ თვითმპყრობელ ინსტიქტებს. საბამ თავის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები შესწირა დაჩაგრულ და დაბეჩავებულ ხალხს გამოესარჩლა მას, იცისრა სხვის ტანჯვისა და წვალების შემსუბუქება, მაგრამ მტარვალმა არ დაინდო უანგარო ადამიანი და გულგრილად გამოასალმა იგი ამ ქვეყანას.

18 ოქტომბერს გამოცხადდა ოდესაში მანიფესტი. ეს დღე იყო დღე საერთო სიხარულისა, ხალხი ერთმანეთს ულოცავდა გამარჯვებას, მონობისაგან ხსნას, ხსნას გაუმაძღარ ვეშაპის კლანჭებისაგან, რომლის სახელიც რუსეთის აბსოლიუტიზმი. მაგრამ სიხარული ხანგრძლივი არ გამოდგა. სადამოთი განაპირა ქუჩებში დაიწყო ებრაელთა ჟლეტა.

გათენდა 19 ოქტომბერი, გათენდა საშინელი დღე. უსახლკარო მაწანწალები, ეგრედ წოდებული „ბოსიაკები და ხულიგანები“, შეკრებილნი პოლიციის მიერ და მათის წინამძღოლობით გაეშურნენ ქალაქის შუა გულისაკენ. ეს იყო „პატრიოტული მანიფესტაცია“, ურიცხვი ბრბო „ხულიგანებისა“, პოლიცია, ყაზახები, ნაციონალურის ბაირაღებით, ხატებით, ხელმწიფის სურათებით საბრძოლველად გაეშურა მტრისაკენ. დაიწყო საზარელი ჟლეტა. კაცის თვალს არა ენახა რა იმაზედ საზარელი. უღონო მეუ[illegible] მოქალაქენი იმსხვერპლა ამ ბრბომ. სისხლით შეღება ოდესის ქუჩები. „პატრიოტები“ ჟლეტდნენ უდანაშაულო მოქალაქეთ, ებრაელებს, რომელთა დანაშაულიც მხოლოდ ის არის, რომ ებრაელნი არიან. გუშინ თქვენ იმხიარულეთ, დღეს ჩვენ ვიმხიარულებთო—გაიძახოდნენ ამ მომაკვდავ აბსოლიუტიზმის ჯალათები. შველა არსაიდან იყო, უიარაღო მოქალაქენი სულსა ლევდნენ. მაგრამ აღმოჩნდნენ თავდადებული, მომეტებულად ახალგაზრდობა: სტუდენტები, სხვა სასწავლებელთა მოსწავლენი, შექმნეს „მილიცია“ და გამოუცხადეს ომი აბსოლიუტიზმის ჯალათებს, უნივერსიტეტი ცენტრად გადაიქცა. ქალაქი ორ მეომარ ბანაკად გაიყო: ძველი მომაკვდავი რუსეთი და ახალი რუსეთი. ბრძოლის ობიექტად ებრაელები გახდნენ. ახალგაზრდა თავდადებული ქალები, მანდილოსნები დიდის ვაივაგლახით კრეფდნენ და უმსუბუქებდნენ ტანჯვას და წვალებას დაჭრილთ.

20 ოქტომბერს ჟლეტამ უფრო საზარელი სახე მიიღო. გამხეცებული ბრბო არავის იბრალებდა, არც უსუსურ ბავშვს, არც მანდილოსანს, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას. „მილიცია“-ც დღე-ღამ მუშაობდა. ყოველი მგრძნობიარე ადამიანი ხელ-გულ-დაკრეფილი ვერ უყურებდა საზარელ სურათს. ყოველ პატიოსან გულში სცემდა სურვილი, დახმარებოდა ჩაგრულთ. და აი განსვენებული საბაც გამოვიდა ბრძოლის მოედანზე. იგი შფოთავდა, პატიოსან გრძნობები მოსვენებას აძლევდა. ჰხედავდა როგორ იღვრებოდა უდანაშაულოთა სისხლი, როგორ იზრდებოდა მტარვალების სურვილი, და მანაც იცისრა თავის წვლილის შეტანა; შევიდა წევრად „მილიციის“ ერთ ნაწილში, აიღო ხელში იარაღი და თავდადებულად გაეშურა მტრის ასალაგმავად, წავიდა ქალაქის ერთ უბანში, მაგრამ.. ჯალათის ხელმა გაუგმირა პატიოსანი გული. მისი იდეალისტური აღფრთოვნება ვერ დაკმაყოფილდა, მის კეთილშობილურ გრძნობას შეეჯახა პირუტყვ მტარვალის გრძნობა და პატიოსანმა მოქალაქემ სული დალია, გამოეთხოვა წუთისოფელს. განსვენებულმა შესწირა თავი სხვას, შეიყვარა მოყვასი თვისი, უფრო მეტად, ვიდრე იავი თავისი.

დავკარგეთ პატიოსანი მოქალაქე-იდეალისტი, ხოლო მეცნიერებს დააკლდათ უანგრო მუშაკი: განსვენებულს დარჩა დაუთავებელი ქიმიური გამოკვლევანი, იმისმა მოწაფეებმა დაჰკარგეს დაუფასებელი მასწავლებელი და ამხანაგი, ხოლო ჩვენი ერის ისეც მცირე მუშაკთ გამოაკლდა თავდადებული მოამაგე.

უნივერსიტეტის მთავრობას სურს განსაკუთრებულა პატივი სცეს თავდადებულ გმირს და დაასაფლაოს იმისი გვამი უნივერსიტეტის გალავანში, იქ, სადაც განსვენებულმა შეიმუშავა საუკეთესო იდეალები და საუკეთესო მისწრაფებანი. უნივერსიტეტის ზღუდეში ატარებდა თავს განსვენებული ცხოვრების ვარამისაგან, და მისი alma mates მოასვენებს და საუკუნო მყუდროობას მიანიჭებს პატიოსან მოქალაქეს. განსვენებულმა თავის მოქმედებით ღვაწლი გვაინდერძა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი კვდარსა
ემსგავსოს,
იყოს ქვეყანას და ქვეყანას არა რა არგოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება იდეალისტ-მოქალაქისა! **სიმ. ავალიანი.**

წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ სტრიქონებს:

4 ამა ნოემბერს, ტფ. სახაზინო პალატის გამგის, ბ-ნ მიხაილოვის, ნებართვით მოხდა კრება ამა პალატის მოხელეთა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ზომებზე მოსალაპარაკებლად. ამ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მე შევეხე ბიუროკრატიას, რომელიც უსამართლობას სჩადის და კერძოთ ბ-ნ მიხაილოვის უსამართლობას, რაზედაც ცალკე წერილში მოვახსენებ მკითხველთ. ამის შესახებ იმ საღამოსვე მოახსენეს ბ-ნ გამგეს იმისმა ახლობელ მოხელეებმა და გუშინ ხუთ ნოემბერს, მე წინადადება მომეცა პალატის მდივნის პირით სამსახურიდან გადადგომის განცხადება წარვუდგინო.

აი ბიუროკრატიის თვითნებობის ნიმუში; აქ 17 ოქტომბრის მანიფესტმა ვერ მოსპო უკანონობა და უსამართლობა! ვაცხადებ ამას ამხანაგთა და ხალხის საყურადღებოდ.

ტფ. სახაზინო პალატის კანცელარიის
მოხელე **მიხ. ნეკეროვიჩი**

P. S. ვსთხოვ სხვა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. ქუთაისში საომარ დროის წესებიდან განთავისუფლების გამო გუბერნატორს სადგურებზე მრავალი ხალხი ეგებებოდა ოვაციით. წარმოითქვა სიტყვები. ღამე სადგურები გაჩაღებული იყო მაშხალებით. საჩხერეში სადგურს დაეცნენ და წაიღეს დახლი.

ფოთი, 5 ოქტომბერი. ქალაქისთვის ნიკოლაძის მიერ მიღებულ ცნობებით, ყველა პროექტი ნავთსადგურის აგების შესახებ მესამე სესხის ხარჯით დამტკიცებულ იქნა. შედგენილ იქნა პროექტი სახალხო სახლისა. დაიწყო სანოვაგის ზიდვა გურიიდან.

ქუთაისი. გუშინ თავს დაეცნენ გელათის და მოწამეთის მონასტრებს გასაძარცვავად; დარაჯებმა თოფის სროლა ასტეხეს და ავაზაკნი გაიქცნენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
2 ნოემბერი

პეტერბურგი, 3 ნოემბერი. 72 წარმომადგენელმა მექანიკურისა და სამეტალურგიო ქარხნებისამ გადასწყვიტა, რომ პეტერბურგის ქარხნების მუშების მოთხოვნის დაკმაყოფილება შესახებ 8 საათის სამუშაო დროის შემოღებისა დიდს ზარალს მოუტანს როგორც ქარხნებს, ისე მუშებს: სამუშაო დროის შემცირება გააკოტრებს რუსეთის ქარხნებს, რომელნიც მცირე შემოსავალს იძლევიან, და მუშებს უხელსაქმოდ დასტოვებს. რუსეთში დასავლეთ ევროპის სამუშაო დროზე გრძელი დრო არ არის, გარდა ინგლისისა, ამ ჟამად, დღესასწაულების წყალობით, ყოველ წლიურად სამუშაო დრო არ აღემატება 2,700—2,800 საათს. გლეხები გაჭირვებული არიან, სამუშაო დროს შემცირება კი წარმოების გაძვირებას გამოიწვევს, რითაც შეუძლებელი ხალხი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება ნივთიერად.

ქალაქში მყუდროებაა. გაფიცვას მხარი მისცეს ბევრის აფთიაქის ფარმაცევტებმა გაზეთები არ გამოსულა. სამს საათზე გაიფიცა ნიკოლაევსკი გზა. ელექტრონის სადგურებზე მატროსები მუშაობენ. პეტერბურგის გარემოდან ხელ-ახლა გაჩნდნენ ქალაქში კავალერისტები.

პეტერბურგი. სამოქალაქო ხარჯთ-აღრიცხვის გენერალ-კანტროლიორს ივანოვს ებრძანა სახელმწიფო კანტროლიორის ამხანაგი იყვეს. სენატორი ზინგერი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

მოსკოვი, 3 ნოემბერი. მოსკოვის ქსელის რკინის გზებზე მყუდროებაა. ყველა გზაზე ნორმალური მიმოსვლაა.

ვარშავა, 3 ნოემბერი. ვარშავა-კიევ-ოდესა-მოსკოვის გზაზე მიმოსვლა იწყება. ღამით პოლონეთის შინაგან გზებზე ელიან მიმოსვლის დაწყებას. ყველა სავაჭროები, კანტორები და ბანკები გაიღო.

პოლტავა. მაზრაში მოძრაობას, უმეტესად, ებრაელების ჟლეტა ჰქონდა მიზნად. წინად აგრარული მოძრაობა მხოლოდ პირიასლავის და ხოროლის მაზრებში იყო.

კოკანდი. სადგურ ჩერნიაევოსთან დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი. მოკლულია კონდუქტორი, დარაჯი და მემანქანე, მძიმედაა დაჭრილი 10.

სარატოვი. ქალაქ სარატოვსა და სარატოვისა, ატკარსკისა, ბალაშევისა, პეტევისა და კიდობის მაზრებში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა.

ვარშავა, 3 ნოემბერი. გერმანიის საკონსულომ „ვარშავსკი კურიერ“-ს განცხადება გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთის სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული ცნობები, ვითომც გერმანიას განზრახვა ჰქონდეს პოლონეთში შეიყვანოს თავის ჯარები და ვითომც გერმანია ცდილობდა, გავლენა მოეხდინა რუსეთზე პოლონეთის საკითხის შესახებ, გამოგონილი ამბავია.

სიმფეროპოლი, 3 ნოემბერი. ბოქაულის თანაშემწე ერმოლენკო, რომელიც ხალხს ესროდა ებრაელების ჟლეტის დროს, გუბერნატორმა სამსახურიდან გადააყენა გამოძიებისავე დროს.

ვინძორი. მეფე ედუარდს ფეხი ჩაუვარდა კურდღლის სოროში და იღრძო.

პარიზი, 3 ნოემბერი. დღეს დილით განახლდა მუშაობა ტულონისა და როშფორის ყველა არსენალებში. გათავდა გაფიცვა აგრეთვე ბრესტისა, შერბურგისა და ლორიანის არსენალებში.

4 ნოემბერი

პეტერბურგი, 4 ნოემბერი. გაზეთ „კურიერ ვარშავსკ“-ში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომც გერმანიის დიპლომატიას რჩევა მიეცეს რუსეთის მთავრობისათვის სასტიკი ზომები ეხმარათ პოლონელების შესახებ. ამ ცნობას არავითარი საფუძველი არა აქვს. არაა სწორი აგრეთვე „პეტერბ. გაზ.“-ის ცნობა, ვითომც ევროპის სახელმწიფოებს საერთო ნოტა წარედგინოთ რუსეთისათვის შინაურ მართვა-გამგეობის საქმეზე და განეცხადებინოთ, რომ შესაძლებელია მათი აქტიური ჩარევა საქმეში. „კოტლინ“-ის სიტყვით, 28 ოქტომბერს წინასწარი გამოძიება დაიწყო უბრალო ჯარის კაცების საქმეზე. გამოძიებას აწარმოებენ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობანი და, ალბად, 2 კვირას გასტანს.

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ფოსტა ტელეგრაფის მოხელეების მიტინგზე დადგენილ იქმნა, იმოქმედონ მხოლოდ ეკონომიურ მიზნების განსახორციელებლად. დეპეშა გაიგზავნა პეტერბურგში შუამდგომლობით, ცნობილ იქმნას ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი და ხელს ნუ შეუშლიან სრულიად რუსეთის სიეზდის ორგანიზაციას.

სმოლენსკი, 4 ნოემბერი. საბჭომ დაადგინა მოაწყოს ქალაქის დაცვა. არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც ნება აქვს მოუწოდოს გარეშე პირთ ნება-ყოფილობით დაცვისადმი.

პეტერბურგი, 4 ნოემბერი. მექარხნეებსა და მეფაბრიკეებს კრება ჰქონდათ მუშების მოთხოვნებზე შესახებ 8 საათის სამუშაო დღისა. საკუპრე და სატყავე ქარხნების პატრონებმა 10 საათზე ჩამოიყვანეს სამუშაო დრო, სამექანიკო, სათუთუნე და ხე-ტყის ქარხნებმა არ დაუთმეს. ყოველ შემთხვევაში, თუ ორშაბათს არ დაიწყებენ მუშაობას, ქარხნები დაიხურება და მუშებს ანგარიშს გაუსწორებენ.

რადომი, 4 ნოემბერი. დღეს მეოთხე დღეა, რაც მუშები გაფიცული არიან და ვაჭრებსაც აიძულებენ გაფიცვას. გენ.-გუბერნატორმა აკრძალა ყრილობები და კრებები. ყაზას-რუსების ერთი პოლკი მოვიდა.

პეტერბურგი. მოსკოვიდან მატარებლები მოდიან. მოხდა პირველი კრება საზოგადო მოღვაწეების კლუბისა. კრებას 600 კაცი დაესწრო. გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ 17 ოქტომბერს გამოცხადებულ თავისუფლებების განხორციელების საქმეში მთავრობას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ნოემბერი.

ყაზანი, 3 ნოემბერი. ცივილის მაზრაში გამწვავდა აგრარული მოძრაობა. გაიგზავნა ერთი როტა სალდათი.

ნოვოჩერკასკი, 3 ნოემბერი. ნაკაზნი ატამანის განკარგულებით აიკრძალა თავდამცველ კომიტეტის მოქმედება.

მინსკი, 3 ნოემბერი. ბობრუის მაზრის დარანოვში თავი იჩინა აგრარულმა მოძრაობამ.

ლონდონი, 4 ნოემბერი. ჩინეთის იმპერატორის ძმის-წულსა და მთავარ სახელმწიფო ინჟენერს მოლაპარაკება აქვთ ჩინეთში იარაღის დიდ ქარხნის გამართვის შესახებ.

ვლადივოსტოკი. 3 ნოემბერი. რამდენიმე ალაგას ცეცხლი წაუკიდეს. მთვრალ ხულიგანთა ბრბო ძალმომრეობასა და უწესოებას სჩადის, ამ უმსგავს მოქმედების მოსასპობად გენერალმა ლინევიჩმა მისწერა კომენდანტს გენ. კაზბეკს, მიიღოს მხნე ზომები.

ვარშავა, 3 ნოემბერი. გაფიცვების გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხ ვარშავაში დახმარებას უწევს მოქალაქეთა გარდა გლეხობაც. გლეხები უგზავნიან სანოვაგეს. ტრამვაის მოხელეებს ჯერ არ დაუწყიათ მუშაობა. დღეს ყველა ბანკები გაიღო. ქარხნებში მუშაობას დღე-დღეზე მოელიან.

მოსკოვი, 3 ნოემბერი. კურსკისა და ბრიანსკის რკინის გზათა მოხელეებს მღელვარება ეტყობათ, რის გამოც გაიგზავნა თითო როტა სალდათი.

ტოკიო, 3 ნოემბერი. ჩინეთს აზრადა აქვს გადასცეს იაპონიას კონცესსის, რომელიც წინად რუსეთს ეკუთვნოდა.

ტამბოვი, 4 ნოემბერი. 2 ნოემბერს პადაშევის მაზრის სოფელ რიაზანკაში ტომბოვის რაზმმა, რომელიც აგრარულ მოძრაობის დასამშვიდებლად იყო გაგზავნილი კირსანოვის მაზრაში, შეიპყრო ოთხი უმთავრესი აგიტატორი, რომელნიც აღელვებდნენ გლეხებსა და ძარცვა-გლეჯასა, გადაწვასა და ძალმომრეობაზე აქეზებდნენ. ამ აგიტატორებში ერთი უცნობია; ამას ორდენებიანი მუნდირი აცვია და თავის თავს გენერლად ასახელებს. მასთან იყო ხაზინადარი, რომელიც ფულს იტაცებდა სახელმწიფო სასმელების დუქნებიდან.

ვარშავა, 4 ნოემბერი. ვარშავაში აიკრძალა ყველა პოლონურ და ებრაულ გაზეთის ცალკე ნომრობით გაყიდვა.

დონის-როსტოვი. 4 ნოემბერი. როსტოვის ოლქში დაიწყო გლეხთა შეტაკება მებატონეებთან აგრარულს ნიადაგზე.—გუშინ ქალაქის საბჭომ ხმის უმეტესობით უარყო ქალაქის თვითდაცვის ორგანიზაციის შედგენა.

პეტროკოვი, 4 ნოემბერი. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე განახლდა მატარებლების მიმოსვლა. გაფიცვა ქარხნებში არ გათავებულა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—10).

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ტელეფონი პირველი საწყობი № 1051.

შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოუნის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან.

(10—4) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ

რეზინის კალოშების ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, [illegible] ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.